



# ბორჯომი

3 აპრილი  
სამთავრო  
2023 წელი  
№32 (9294)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი

## გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციას!

**პატივცემულო რედაქციავ!** თქვენს გაზეთში პერიოდულად იბეჭდება ჩემი სტატიებიც ქალაქის გეგმარებისა და მშენებლობის, აგრეთვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე, ბორჯომთან და ახალდაბასთან ბავშვობიდან მჭიდრო ნათესაური კავშირი მაქვს ამ საკურორტო დაბაში საკუთარი სახლიც გამაჩნია, უკვე ხუთი წელიწადია მაისიდან ნოემბრამდე ახალდაბასთან ვატარებ. ყოველკვირეულად მოუთმენლად ველოდები თქვენი გაზეთის გამოსვლას, ინტერესით ვეცნობი პუბლიკაციებს და მათში განხილულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ დემოგრაფიულ საკითხებთან ერთად უხვად ვნახულობ ბორჯომისა და მის ფარგლებში არსებულ დასახლებების ისტორიულ მასალებს. ბოლო ნომერშიც ძალიან მომეწონა სტატია „როგორ იყო საკურორტო სეზონი ბორჯომში“. მიმოხილულია XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების სანქტ-პეტერბურ-

გის სახელმწიფო არქივში დაცული მასალები. ამიტომაც მიმანია, რომ გაზეთი „ბორჯომი“ არა მარტო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, არამედ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის ძვირფასი გამოცემაა, რაც თვით მისი გამოცემული ადამიანების დამსახურებას, ცოდნას და ერთდროულად უნდა მივანეროთ. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს ას ორმოცდაათ წელიწადს მიტანებული მსოფლიოში, ცნობილი კურორტ „ბორჯომს“ შეუნარჩუნოს ას წელიწადს მიტანებული გაზეთი „ბორჯომი“.

რედაქციის მცირერიცხოვან კოლექტივს ვუსურვებ გამძლეობას.  
**რეზა მახვილაძე,**  
პროფესორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ამჟამად მშენებლობის ექსპერტი.

## გაზეთის დაწდების დღეს გლოჯვო!

**მიმდინარე** წლის 20 ივლისს გაზეთ „ბორჯომი“ დაარსებიდან 92 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი ნამდვილად ისტორიულია და ბორჯომელები სამართლიანად აღიარებენ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ჩვენი ხეობის ნამდვილი მემკვიდრეა. მის ფურცლებზე აღწერილია საკურორტო რეგიონის მთელი ისტორია გაზეთის დაარსებიდან დღემდე, მხოლოდ და მხოლოდ ბორჯომელთა ყველა თაობის გონიერება, მონდობა და ყურადღებებიანობის წვლილია ის, რომ ჩვენმა პატარა გაზეთმა გაუძლო დროის ქარტყლებს. სამწუხაროდ, გაზეთის 92 წლისთავს ამჯერად უღიმამოდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აღვნიშნავთ, ნამდვილად ჩვენი გაზეთი ხელოვნურად შექმნილი პრობლემების და უსახსრობის გამო სულს ღაფავს, მაგრამ მანაც ვეცხარია, რომ ამდენს გაუძლო... რაც მთავარია, დღეს კეთილი ადამიანების და ერთგული ხელისმომხერების იმედად ვარსებობთ...



ტრეკი ცენზურის მიუხედავად, მაინც ახერხებდა ქართული ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებას, კულტურის, განათლების, საკურორტო რეგიონის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთის როლი ბორჯომელთა სულიერ და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ამიტომაც უყვართ ჩვენი ხეობის მშრომელებს ჩვენი პატარა გაზეთი, რომლის ტირაჟი დღეს 1300 აჭარბებს და ხელისმომხერებს რედაქციის გამაგრებლები ყოველ ხუთშაბათს ბინაზე მიართმევენ.

საბაზრო ეკონომიკის დაუნდობელი კონკურენციის პირობებში გაზეთი „ბორჯომი“ კონკურენტუბი გამოუჩნდნენ, მიუხედავად ამისა, ჩვენ საკუთარი მწირი შემოსავლებით ვირჩენთ თავს. გაზეთის ტირაჟი და თითოეული ეგზემპლარის მიზნობრივი ფასი სტამბის ხარჯებსაც ვერ ფარავს, თანამშრომლები კი სამ თვეში ერთხელ მათხორჯულ ხელფასს ვჯერდებით. გთხოვთ მკითხველმა გვაპატიოს თუ კომუნიკაციების დროინდელ პირობებს შევადარებთ დღევანდელს, იმ წლებში ხელისუფლება მუშაობასაც გვთხოვდა და დახმარებაც ღირსეული გვექონდა.

დღეს გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, რედაქცია და მკითხველი ერთ ნაწილს სხედენ, მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. მოგინდებთ, გამოინერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“. გასსოვდეთ, ვერანაირი ფსევდოგამოცემა ვერ შეცვლის ჩვენი ხეობის მემკვიდრეებს. თქვენზე დამოკიდებული იარსებებს თუ არა მომავალში გაზეთი „ბორჯომი“?

**ფარულა ბორჯომელებო, ჩვენ თქვენ დახმარების იმედად ვარსებობთ. ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია შპს „ბორჯომი პრესა“ ს/კ 4261124678. სს „კობისი“ ბანკი ა/ა GE41T76000360800006 ბანკის კოდი BAGAGE22**  
**გთხოვთ შექვთ დაგვიწერდეთ აღმოგვიჩინოთ დახმარება გაზეთის გადართმევად წინაშე გუდით ვულნერა მდელია და გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია.**

## ვათაფაფიანი უზი „ზაზა“



30-მა მოსწავლემ გადაინაწილა. მათ გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, **მეუფე თეოდორემ** და სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა**. გამარჯვებულები, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერებმა, ასევე, როინდელის ფონდის პრეზიდენტმა **ვახტანგ მეტრეველმა**, თბილისის ვლ. კომაროვის სახელობის ფიზკა-მათემატიკის სკოლის დირექტორის მოადგილემ **მალხაზ ჯინჭარაძემ** და სამცხე-ჯავახეთის სახარული განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა **მარეს ყურაშვილმა** სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. აუდიტორის წინაშე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნომრებით წარდგინეს „თეატრალური კვარტეტი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზაზა“.

ლონისძიებს მუნიციპალიტეტების პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. საქართველოს ზარზმის მონასტრის ფონდი „სავენი“ 2007 წელს დაფუძნდა, ხოლო „ზარზმის ბავშვთა აკადემია“ 2019 წლიდან ფუნქციონირებს და მათი ძალიან მძიმე ნიჭიერი მოსწავლეები მათემატიკას და ფიზიკას გაძლიერებული პროგრამით უფასოდ სწავლობენ. წლების განმავლობაში მათ მიერ მომზადებული არაერთი ბავშვი კომაროვის თბილისის ფიზკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლაში ჩაირიცხა.

## სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს

**ბორჯომში**, რუსთაველის ქუჩაზე გზის გამყოფი მოაჯირის, სკვერებში არსებული ფანჯატურისა და მოსაცდელელების სამღებრო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. ქალაქის იერსახის მონესრიგების მიზნით, ბორჯომის მერია მსგავსი ტიპის სამუშაოებს მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს. **საკურორტო** სოფელ ტიმოთისუბანში და მზეთამზეში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სოფელ მზეთამზეში 560 გრძივი მეტრი ასფალტის გზა დაიგება, ხოლო სოფელ ტიმოთისუბანში 360 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი გაკეთდება. ასევე, გზის მოწყობის პარალელურად



მიმდინარეობს სანიტარულ არხების მოწყობა. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## უძრავი ქაბლის კაბეგორია მიენიჭა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ დაბის წმინდა გიორგის ეკლესიას, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლს 2006 წლის 7 ნოემბერს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებულია ასომთავრულით შესრულებული წარწერა: „ინდიკტონსა მეფეთა მეფისა გიორგისა, ძისა დიმიტრისა, მეცხრამეტესა სიტყვასა ღმრთისა აორცთმესხმისა მიზეზო, აღვაშენე ტაძარი ესე უამსა მეფეთ მეფისა გიორგისა მე მათმან მოლარეთუხუცესან... ქორონიკონსა კა“.

## ბორჯომში მუსიკადრი საღამოები დაიწყო

**27 ივლისს** ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში, ღია ცის ქვეშ, სამუსიკო სკოლასთან არსებული ანსამბლის „ოქტავას“ სოლო კონცერტი გაიმართა. ანსამბლის წევრებმა ყველა საათის საყვარელი და კარგად ნაცნობი სიმღერები ადგილობრივებისთვის და ქალაქის სტუმრებისთვის შეასრულეს.



ვერადი და მხიარული კარნავალი ანიმატორების მონაწილეობით. ბორჯომის პარალელურად კი პროექტის ფარგლებში ბაკურიანში ამირანის პარკში მოსულ სტუმრებს ადგილზე მოწყობილი სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი სერცე და ფოტოზონები დახვდა, თითების თეატრი 2 სპექტაკლი წარსდგა მაყურებლის წინაშე. ბავშვების განწყობაზე ზღაპრის გმირებმა და მასკოტებმა იზრუნეს.

**29 ივლისს - მომღერალმა ბაჩო რამიშვილმა** მსმენელებს მათთვის კარგად ნაცნობი და ახალი ჰიტები შესთავაზა. **30 ივლისს - მომღერალმა ნოდარ ხუციშვილმა** საკუთარ ბენდთან ერთად ადგილობრივებისა და ჩამოსული სტუმრებისათვის იმღერა. ღონისძიების მფარველი ნაწილი კი ჯგუფ „შერევილებს“ დაეთმო. ამავე დღეს კოსტავას ბაღში მოსულ სტუმრებს ადგილზე დახვდათ ადგილობრივი მწარმელების პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო გასართობი და შემეცნებითი აქტივობები,

სალამო კი ცნობილი ქართველი შემსრულებლების გალა-კონცერტით დასრულდა. მსმენელის წინაშე **მირზა მოდებაძე, ნინო ქარსელაძე, ზუგა ხუციშვილი (ბენდი), თიკა ჯამბურია და დათუნა მგელაძე** წარსდგნენ.



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ცენტრალურ პარკში და მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში არაერთი კულტურული ღონისძიება დაგეგმილი. აღნიშნული საღამოები მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით ხორციელდება, რომელიც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს.

**გიორგი ბაღრაძე**



# გაკურჩიანი - ქაოსური მუშაობა და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა

სელსულებელი ნინოვანი ტყე, მთის ჯანსაღი პური და ჯადოსნური ბუნება - ბაკურჩიანის მსგავსი კურორტით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა მოინახულებდა თავს, რომ არა დისონანსი, რომელიც ამ ჰარმონიაში ჩვენი შეგვაქვს ქაოსური მშენებლობით, ავტომანქანების გამოწვეული და ბუნებისადმი უდიერი მოპყრობით. სეზონის მიუხედავად, აქ ავტომანქანების საცობი ხშირია, რასაც გაუმართავი ინფრასტრუქტურაც უწყობს ხელს. უკვე რამდენიმე წელია, ვეღარც ბორჯომის ხეობის მშენებებს, „კუკუშკას“ იხილავთ. როგორც ამბობენ, არა მარტო მათარებლის ვაგონები, არამედ ბორჯომიდან ბაკურჩიანსაკენ მიმავალი რკინიგზაც მწყობრიდან გამოსულია ამის მიუხედავად, დამსვენებელი ტრადიციას არ ეღობება და კურორტს როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის სეზონზე სტუმრობს. ზაფხულის სეზონზე ბაკურჩიანში დასაქრავებელი ბინის ფასი ივლისიდან აგვისტოს ჩათვლით იზრდება, ისევე, როგორც ბაკურჩიანის შემოგარენი - ქაოსური მშენებლობით. 2017 წელს მიღებული და წლების წინ შესასრულებელი ბაკურჩიანის განაშენიანების გენერალური გეგმა გადაედებულია. ბაკურჩიანის მარტოვანი გამორჩეული მოედანზე, რომელზეც ცენტრალური ბანკი უნდა გაშენებულიყო, მთავარი საბურთალოსი „ქალაქი გაშენდა“, როგორც აღმოჩნდა, საბურთალოსი ზღვა რაოდენობა კვადრატული მეტრების მეტრებზე აქვთ მოზიდული თავიანთი კვადრატული მეტრების არეალის შემოსასაზღვრად. კვადრატული მეტრით, ბევრს ცხენი უყავს. ეს მშენებელი პირუტყვი კვადრატულ მეტრებს ამყვანდა უნდა კონსულტაციას: აქ ცხენით ორნუთიან გასეირნებას ზუსტად იხეივებ ფასი აქვს, როგორც ამავდროით კვადრატული მეტრების გაქროლებას - 10 ლარი; არადა, ჯერ კიდევ შარშან წლის არ აღემატებოდა. სამაგიეროდ, ფასის გამო კვადრატული მეტრი და ცხენიც ხშირად უქმად არიან ჩამონაკრებილები: ორნუთიანი სეირნობის 100%-ით მომატებული თანხა ბევრისთვის ზედმეტად ძვირი აღმოჩნდა. გაძვირებული ცხენიც,

რომელიც ბაკურჩიანში იორმულანლოვლ აზერბაიჯანელ მწყემსებს შემოჰყავთ აქაურ სასტუმროებში ბატკნის ხორცზე მოთხოვნის გამო, როგორც მწყემსმა რომან მუსაევიამ მითხრა, ცხენის რეალიზაცია ბაკურჩიანში რთული არ არის, რადგან უამრავი კვების ობიექტია, სადაც ბატკნის ხორცი სურთ, ასე რომ, ბატკნის ფასი ბაკურჩიანში 300 ლარია. ორმაგია ბინის ღირსეულობა, სადაც ტურისტს

იმ-ბარი და საბავშვო ატრაქციონი ერთდროულად ფუნქციონირებს, ხოლო რამდენად კანონიერია ან ეთიკური ეს მომენტი, არავის აინტერესებს, ამასთან, ვერავინ ვერაფერი მოუხერხა იმ დანგრეულ ინფრასტრუქტურას, რომელიც ბაკურჩიანში ასევე ტრადიციულია, მათ შორის ვერც მუნიციპალიტეტის ფაციფუცმა, რომელიც ბაკურჩიანისათვის რატომღაც ტურისტული სეზონის დასაწყისში „იღვიძებს“



კვებითაც უმასპინძლებიან. დღე-ღამე დაახლოებით 150 ლარი ღირს. 80 ლარამდეა კოტეჯებისა თუ მოსახლეობის გაქრავებული ოთახის ფასი, სადაც დამსვენებლები თავად იმზადებენ სადილს. ერთადერთი, რაც ბაკურჩიანში შესანიშნავად მუშაობს, მარკეტების ქსელია - სოფელ საქართველოში განლაგებული მსხვილი სავაჭრო ობიექტებით თავიანთი ფასდაკლებებით ბაკურჩიანშიც იზიდავენ კლიენტებს. დღეს ბაკურჩიანში თითქმის ვეღარ ნახავთ ტრადიციულ ბაკურჩიანულ ხის სახლებს. მათ ნაცვლად მფლობელებმა მცირე საოჯახო სასტუმროები ააშენეს. იშვიათადლა შემორჩენილი ძველი ხის სახლები იმ მუზეუმებს მოგაგონებთ, რომლებიც თავანწყვტილ მშენებლობას გადაურჩნენ. სწორი დაგეგმარების წყალობით ასევე უნდა ყოფილიყო - მუნიციპალიტეტის ისტორიული სახლების რესტავრაცია და მათი გლამაზება ტურიზმის გამრავლების გარდა არაფერს „დაუშვებდა“, რაც აქ, ალბათ, დიდხანს არ გამოვა, სამაგიეროდ, მშენებელთა გამოუყვანიათ ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ეზოში ჩილ-

ტრატორებიც და მტკვრის ბოლქვებით, ქუჩების თხრითა და ხმაურით, რაც ისედაც მოუწესრიგებულ დაბას შავ დღეში აგდებს.

ინა გიგანიშვილი, ადგილობრივი მცხოვრები: - მაინცდამაინც ტურისტული სეზონის დასაწყისში ახსენდებათ, რომ ასფალტი აქვთ დასაგები. იმასაც ალაგ-ალაგ აგებენ. რა აზრი აქვს კაპიტალური

გზის გაკეთებას, როდესაც მთელი ბაკურჩიანის ინფრასტრუქტურა ჩაოხრებულია, მინის ქვეშ წყლისა და კანალიზაციების მილები ჩაშლილია. ასფალტის დაგებიდან სულ ცოტა ხანში რომელიმე მილი სკდება, წყალი ამოხეთქს და ასფალტი ასაყრელი და მერე ისევ დასაგები ხდება. მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბაკურჩიანის ცენტრში, საშინელი ანტისანიტარიაა, მაგრამ მუნიციპალიტეტს ეს არ აინტერესებს, თორემ არსებობს სპეციალური სამსახური და მას დაავალდებდნენ სასტუმროების მიერ ბაკურჩიანის დაბინძურების გამოკვლევას. ერთი სასტუმროს კანალიზაცია ბაკურჩიანის ცენტრის მიმდებარედ ისე დაზიანებული, კანალიზაციის წყალი რუსავით ჩამოდის. რუსთვისედა ისეთია, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ თავისთავად სუფთავდება. ამიტომ ტურისტებს სუფთა ჰგონიათ და შიგ ხელებს იბანენ. ერთს მივუსწარი და ვუთხარი, რას შერები, წყალი ჭუჭყიანია-მეთქი, მაგრამ მთელი ბაკურჩიანის დამსვენებლებს მე ხომ ვერ გავაფრთხილებ.

- ამას მშვიდად როგორ უცქერით?

- ხალხი ბაკურჩიანში ტურ-

იზმნება ჩამოკიდებული და სულ არ აწყობს სასტუმროს თუნდაც დროებით დახურვა, ამიტომ უმეტესობა მდგომარეობას ეგუება. ვინც ვერ ეგუება, იმასაც რა გამოსდის? ცენტრალურ ბაკურჩიანში, მდინარე ბაკურჩიანულაზე წლებია უმოაჯირო ხდია გადებული. დღეს იქნება თუ სვალ ხომ გადავარდებ ვილა? წლებია ხელისუფლება გვირდება, მოაჯირებს გავაკეთებთო, მაგრამ პირობის შესრულება არც უფიქრიათ.

- ბაკურჩიანს საზოგადოებრივი ტრანსპორტი რატომ არ ჰყავს? რადა, სამგზავრო ტრანსპორტები კი არის გამოკრული.

- სად გავიწილა ამხელა ტურისტულ დაბას ტრანსპორტი არ ჰყავდეს? ბაკურჩიანი ძალიან დიდი დასახლებაა, მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი 2000 კაცზე მეტია. ამათ გარდა დამსვენებელსაც ხომ უნდა ტრანსპორტი გადაადგილება? ერთადერთი, რაც ბაკურჩიანში დადის, მონატრულია საბავშვო ავტობუსი. კერძო პიროვნებას ეკუთვნის და ამიტომაც ძვირია, რომელს გაჩერებაზეც არ უნდა ჩამოხვიდეს, მგზავრობაში 2 ლარია გადასახდელი.

გიცი, რომ ბაკურჩიანის განვითარების გენერალური გეგმა არსებობს. რატომ გადაიდო მისი შესრულება?

- ეგეც მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონოთ. გეგმა რომ შესრულდეს, მაშინ ბაკურჩიანში ქაოსური მშენებლობები უნდა შეჩერდეს, და აწყობს კი ეს ადგილობრივი ხელისუფლებას?

თეიმურაზი „კვირის პალიტრა“ 24-30 ივლისი, 2023წ.



**რეაქციის მიხედვით:** სასიამოვნოა, როცა რესპუბლიკური მნიშვნელობის და მკითხველთა საყვარელი გაზეთი ჩვენი მუნიციპალიტეტის შესახებ სამართლიან და ობიექტურ კორესპონდენციებს გამოაქვეყნებს და სრულად საქართველოს მშრომელებს აუწყებს საკურორტო რეგიონის ამბებს, მაგრამ მეტად სანწყინია, როცა რესპუბლიკურ მედიაში გამოქვეყნებული წერილის თუ რეპორტაჟის შინაარსი მკითხველს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას დაუტოვებს.

ბაკურჩიანის პრობლემების შესახებ სამართლიანად წერს გაზეთი „კვირის პალიტრის“ მეტად წარმატებული და პოპულარული ჟურნალისტი ქალბატონი თეიმურაზი, მის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა მკრეხელთა იქნებოდა, მაგრამ უმადურობა იქნება, არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რაც ბაკურჩიანის განვითარების სააგენტომ ერთი წლის მანძილზე (დირექტორი პაპო ორჯონიძე) გააკეთა ბაკურჩიანში, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია.

ვისურვებდით ასეთი მამხილებელმა წერილებმა ხელი უნდა შეუწყოს ბაკურჩიანის სპორტულ და ტურისტული ზონის აღმშენებლობას. ქაოსური მშენებლობების ნებართვის გაცემისგან თავი უნდა შეიკავონ თბილისში მოქმედმა ზემდგომმა სამინისტროებმა და უწყებებმა. დროა, ყველა ზრუნავდეს ბაკურჩიანის განვითარების განგეგმის შესრულებისათვის და არა ხელშეშლისათვის.

ვალერიან ლომიძე

## გაზეთ „გორჯოვის“ რედაქციას

# ჩაღაა იგი სინათლე?..

**პატივცემულო რედაქციავ!**  
ამ წერილს გწერთ წალვერში დასასვენებლად ჩამოსული მოგარაკები. გულწრფელად გვინდა გაგინახილოთ ჩვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა ბორჯომის ხეობის მომავლოებელი ბუნებისადმი. შესანიშნავი კლიმატური პირობები, სუფთა ჰაერი, დასვენებისათვის მართლაც რომ შესანიშნავი პირობებია. სამწუხაროდ, მართლაც - **ჩაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია**, ამ ჩვენს კომუნა საკურორტო დაბას ნამდვილად აკლია ადამიანის მზრუნველი ხელი და ყურადღება. სიმართლე გითხრათ, ასეთი ჭუჭყიანი და უსუფთაო წალვერი არ გვახსოვს. დავინყოთ რინიგზის სადგურიდან, რომელიც ნაგვის ბუდედაა გადაქცეული, მისი მიმდებარე ტერიტორია ანტისანიტარიის ცენტრია, სანაგვეურნები ნაგვითაა გადავსებული. სამი წელიწადია ყოფილ რკინიგზის პიონერთა ბანაკს ყარაულები აღარ ჰყავს. ერთ დროს წალვერის მშენებებს - შესანიშნავი პიონერთა ბანაკის ტერიტორიას ვეღარ იცნობთ, ღობე შემონგრეულია და ტერიტორია სანაგვედაა გადაქცეული. საკურორტო დაბის ცენტრში სანიაღვრე არხები ლამით და ათასგვარი ნაგვითაა ამოვსებული, სადაც სანიღვრეები ამონიშნდეს, ნარჩენი ნაგავი სავტომობილო გზის და ფეხით სავალი ტროტუარების გასწვრივა



დაყრილი და აქოთებულია იქაურობა, განმკითხავი კი არავინაა. მიუხედავად იმისა, რომ წალვერის მიწწყლების პარკში სანიტარული ნესრიგი დამკვამყოფილებულია, სამი ბიუჯეტიდან ორში მიწწყალი არ მოდის, შესენების გარეშე მინერალური წყლის ოწყანის გაღება ავიწყდებათ. სასამელი წყლის ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებას საშველი არ დადგა, ალარც კი ვიცით, რამდენი წელია, რაც წალვერში მიმდინარეობს სასამელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მართლაც რომ „კუს

ნაბიჯებით“ მიმდინარეობს. ის მაინც ვიცოდეთ, როდის მოვა ჩვენს ოწყანებში სუფთა წყალი, რომელიც წვიმის დროს იმღვრება და ირღვევა წყლის მიწოდების გრაფიკიც. წალვერელები, მისი მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები და მოგარაკები აგერ უკვე რამდენიმე წელია მივეჩვიეთ პატარა „კუკუშკის“ გარეშე ცხოვრებას. ის მაინც გვითხრას, როდის განაახლებს მათარებელი მოძრაობას. უსაშველოდ დაბინძურებულია საკურორტო დაბაში მოწხრიალ მდინარე „გუჯარულა“ და „ცემის წყალი“, მათ დაბინძურებაში კი ადგილობრივი მოსახლეობას „ლომის წილი“ მიუძღვით. რომ იცოდეთ, წალვერის ცალკეულ უბნებს არც ღამის განათება აქვს მონესრიგებული, თუნდაც სადგურიდან - „კეჩხობის“ პანსიონატამდე არსებული ჩაბნელებული გზა ვახსენოთ, რომელიც საკურორტო სეზონში საერთოდ არ განათებულია. წალვერში სხვა პრობლემებიც საკმაოა. წლების წინათ საკურორტო დაბას შესანიშნავი აფთიაქი ემსახურებოდა, ახლა ის შენობაც გამოკვტილია. მედიკამენტები წალვერელთა შესანიშნავი ობიექტის - კულტურის სახლის მოპირდაპირე მხარეს, პატარა მინურ შენობაში იყიდება და იმ შენობას აფთიაქს ვერ უწოდებ. წალვერში ბანკომატს და ვერც სხვა სიანაღვრეს ვერ აღმოაჩენთ და საერთოდ, გვანტერიებს, ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებში გამოსწორებისათვის პასუხისმგებელი პირი მაინც თუ არსებობს?

**წალვერში დასასვენებლად ჩამოსული მოგარაკები.**







პოეზიის კუთხე

წმინდა ილია წინასწარმეტყველს - თეზბიტელს

ქალაქ თეზბაში, ქრისტეშობამდე ცხოვრობდა კაცი, წმინდა ილია, ვინც იყო ღმერთის მამიებელი, მადიდებელი, მადლოცებულია. ის ბავშვობიდან ღმერთს ეძიებდა, ჭეშმარიტებას ჭვრეტდა უთუოს: რომ მისი ღმერთი იყო ცოცხალი, და არა კერა, ნივთი უსულო. და ამის დასტურ, ღმერთის ინიება, და დასწავა მსხვერპლი, ის, დასწავა ცეცხლით ღმერთს უფლის დიდებთან მის სწამებულს დასწავა ხელი. და მანც წმინდას ყურს არ უფლებდო, მაშინ კი ვეალებო გაწყრა ბუნება, უფლის სასველმა მიწა დაშრიტა, ქადაგა შიმშილით განადგურება. კვლავ შეებრაღა მოყვასი ღმერთის კაცს, ღმერთი ილოცა, ქველის მხეველი, და მისი ლოცვა შესმენილ იქნა, მოვიდა წვიმა მაცოცხლებელი. სხვა სასწაულსაც აღსრულებულა, ქრისტეს გაუცოცხლა შვილი, ღმერთის ნებით, და შემდეგ მტრისგან გადაამალულს, ყვავე კებავდა, ზორცის მიგებით. როგორც მოსეს დროს,



ერთ დღეს მის თვალწინ, უფლის ნათელით მთა დაიფარა, და ღმერთს დიდებას რომ ვერ გაუძლო, სახეს ხალხი გადაიფარა. ეს კიდევ რაა. ილია ღმერთმა ედ აიტაცა, ცეცხლით და ალით, ეტლით ასული კვლავ დაბრუნდება, რომ ბოროტ ძალას ეკვეთოს ძალით. ბოლოს ინიება, თავის ხალხი რომ ელისესთვის გადაელოცა, და დაუბარა: კაცო მოქვეყნისთვის, გადარჩენისთვის მათთვის ელოცა. და ის ხალხი წმინდა მიწაზე სვეტიცხოველში მადლოდ ანთია, უფლის კვართს გვერდით შენი სამოსი წმინდა ილიავ, დიდი განძია! შენ მოხველ ქვეყნად, ცოდვილ მიწაზე, უფლის დიდება რომ გაამყარო, წმინდა ილია, წმინდა მახვილით, შენ დაიფარე მთელი სამყარო. შენ, ქართველობის დიდი იმეო, ჩემი სამშობლო შენ დაიფარე, წმინდა ილია, მთა-მთა იარე, ჩვენს განსაცდელზეც გადაიარე!

ოლიკო ლომიძე

ღმერთო, ღმერთო გეხვეწები

ღმერთო, ღმერთო გეხვეწები, გვედრები მე ქუნცელი, რაცა ვარ და როგორიც ვარ, ასე მამყოფე უცვლელი. რასაც ბუნება შეარჩავს, რომ არ დამრჩეს მე უთქმელი, რაცა ვარ და როგორიც ვარ ხალხის მიმართ მე გულწრფელი.

ყველა ერის, ღმერთისიერის სალოცავზე სახილად ვენთო, თუ დასჭირდეთ, თვით სიცოცხლევ ჩავიწვე და ჩავიფერფლო. ჩემთვის სუყველა ერთია, ყველა რეჟული, ყველა ერი, როცა ყველა კარგად არის, მაშინ მეც ვარ ბედნიერი.



ბაჩაყ მუნჯელი (თაინიკა), საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. 2023 წელი

თქვენი ძალბატონავო

შილაკი ლაპაზი, თქვენ საუბო პროცედურა

გამოთქმა-სილაპაზი მსხვერპლს მოითხოვს ყველაზე უკეთ ქართველ ქალბატონებზე მორგებული. თუკი XXI საუკუნის სილაპაზის ტენდენციებს გადახედვით უამრავი საშუალება არსებობს სილაპაზის სფეროში, რომელიც ქალბატონებს ყველანაირ კომფორტს უქმნის იმისათვის, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ლამაზად გამოიყურებოდნენ. სილაპაზიში მიღებული რუჯი, კონსტრუქციული მაკიაჟი, თმის სხვადასხვანაირი სახის პროცედურა თუ შილაკი მცირედი ჩამონათვალა იმ სერვისებისა, რომელთაც საქართველოში მცხოვრები ქალბატონები სშირად სარგებლობენ და ბევრისთვის მათი ცხოვრების ყოველდღიურობადაა ქვეყნული განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ბევრ ქალბატონს სამსახურიდან გამოდინარე სშირად ვერც ზღვაზე წასვლას ახერხებს, ან დროს არ ქონის გამო სხვადასხვა სალონებში სშირ ვიზიტებისთვის არ სცალიათ, ისინი საბედნიეროდ, ერთი ვიზიტით აგვარებენ გარკვეული სახის პროცედურით ხანგრძლივად შეინარჩუნონ სილაპაზი. ამჯერად, შილაკის პროცედურის მაგნიტური დამატებებზე მიხნდა გესაუბროთ, რომელსაც 10 ქალბატონიდან 7 მინც მიმართავს. სამწუხაროდ, აღნიშნულ პროცედურას, ხანგრძლივი სილაპაზის გარდა საკმაოდ მაგნიტური შემდეგება გააჩნია. ჩემმა რე-

სპოდენმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა არჩია იმის გამო, რომ ის სშირად აეთხავდა სილაპაზის რუჯის მისაღებად და ასევე შილაკის სვეტიცხოველის ფრჩხილების გასაკეთებლად, არ ისურვავ ვინაობის გამჟღავნება,



ვანმრთლობის პრობლემების გაუარესების გამო მან უარი თქვა სეზონი აღნიშნულ პროცედურებზე. დღეს კი რესპოდენტი პირობითად მთ. თვითონ მოგვიყვება იმ პრობლემებზე, რაც მას შილაკის პროცედურის ხანგრძლივი მოხმარების შემდგომ განუვითარდა: - იმის გამო, რომ ძალიან დაკავებული ვარ და სშირად შაბათ-კვირასაც კი არ მცალია, აქედან გამომდინარე, თვეში ერთხელ მივმართავდი შილაკის პროცედურას, რომელსაც ძალიან გამოცდილ სვეტიცხოველთან ვიკეთებდი, თუმცა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შევაჩნე, რომ ჩემი ფრჩხილები ძალიან მგრძობიარე გახდა, გახდა მტკრეული და მტკრეულად დარჩა, რაც მანამდე არასდროს შემიძინებია. როდესაც

სვეტიცხოველს ვკითხე არსებულ მდგომარეობაზე, მან განმხმარება, რომ მსგავსი რამ იცის აღნიშნულმა პროცედურამ და თუკი ჩემი სურვილი იქნებოდა, შექმნილი უარი მეთქვა გარკვეული დროის მანძილზე, რათა ფრჩხილს დაესვენა. დავეუფლე კიდევ ერთხელ შევაჩნე, რომ აქერცვლასთან ერთად ფრჩხილის სტრუქტურა მოყვითალო ფერს გახდა, რომელსაც ტკივილიც ახლდა თან. ცოტა ხანში კი დერმატოლოგთან მომიხნა მისვლა, სამწუხაროდ, დამიდგინდა, რომ სიკოვანი იყო საწყის სტადიაზე დაწყებული და საკმაოდ დრო დამჭირდა მკურნალობისთვის. როდესაც ექიმთან ვკურნალობდი, მსგავსი პრობლემებით იყვენ პაციენტები, რომლებსაც უფრო მეტად შორს წასული გართულებები ჰქონდათ. ქალბატონებს ვურჩევ, რომ არანაირი სილაპაზი არ მოითხოვს ისეთ მსხვერპლს, რომ საკუთარი ჯანმრთელობა შესწიროთ. ვცოხია, პირადად გამოხსოთ დრო საკუთარი ფრჩხილის მოვლისთვის და ისეთ დონეზე არ მიხედეთ რა დონეზეც მე მივიყვანე ჩემი თავი. სვეტიცხოველსაც ვურჩევდი, რომ ნამდვილად არ უღირთ აღნიშნული პროცედურებიდან აღებული ფინანსები იმად, რომ მომხმარებლები არ გააფრთხილონ, რომ ზომიერება დაიცვან და ფრჩხილი შეასვენებონ. მე აღარასდროს გავიკეთებ შილაკს.

P.S. მათთვის კი ვინც ვერ კიდევ არ იცის შილაკის პროცედურის საშიშროების შესახებ, განმარტავთ, რომ სშირად შეცნობითაა გარკვეული მოსაზრებით, შილაკი ფრჩხილისთვის საშიში პროცედურაა, რადგანაც ის აგრესიულად მოქმედებს ფრჩხილის ფირფიტაზე. ამას გარდა, მოხვეწისა და გაპირალების პროცედურებზე შეიძლება ფრჩხილის ტრავმირება გამოიწვიოს, ამ მანიპულაციებმა კი - ფრჩხილის განლევა. თუმცა შილაკის ნაწილი შეიძლება დაზარალებული იქნება პროცედურის მიმართული ფრჩხილის სტრუქტურის სრულად და მუდმივად შეცვლა მას არ შეუძლია. შილაკისგან ორთიანი შესვენების შემდეგ ფრჩხილი პირვანდელ სახეს იბრუნებს. მეორე საკამათო საკითხი შილაკის შრობის პროცესია, რომელიც სვეტიცხოველი ნათურით ხდება. ზოგიერთი მცნიერი იხრება იმ აზრისკენ, რომ შილაკის თითოეული ფენის გასაშრობად გამოყენებული ულტრაიისფერი ნათურა შეიძლება ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდეს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კანის კიბოს პრობლემებზე მომუშავე ამერიკული ორგანიზაციის სვეტიცხოველი. დაავადების რისკი ძალიან მცირეა, თუმცა სრულად მისი გამორიცხვა არ შეიძლება. როგორ დაიცვათ თავი? პირველი და ძირითადი რჩევაა ის, რომ ფრჩხილებს დასვენების საშუალება მივცეთ. თუ რეგულარულად იკეთებთ შილაკს, საუკეთესო იქნება, ორ თვეში ერთხელ, ერთი-ორი კვირით, დაასვენოთ ფრჩხილები და გადახვიდეთ ჩვეულებრივ ან სამკურნალო საფარზე. მით უმეტეს, რომ თხელ და მტკრეულად ფრჩხილზე შილაკი უფრო ცუდად კეთდება, ვიდრე ჯანმრთელზე.


მომზადდა ნატო მელიქიძემ

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1977 წელს, რეგისტრაციის №240459 შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს. გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. მისამართი: ბორჯომი, ფალაშელის №2 ტელ 22-29-65. იხრება შსს გამომცემლობა ქაპარძე. თბილისი, თედორე მღვდლის №57. borjomi@inbox.ru რედაქტორი: პალმინა ლომიძე

ჭადრაკი

თა ჩოსტაპილი - პრესლის პრიზი

11-20 ივლისს ფოთში გაიმართა XVI საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი ნანა ალექსანდრას თასზე. მასში მონაწილეობდნენ როგორც უფროსი ასაკის, ასევე 8 და 10 წლის ასაკის გოგონები და ქაბულები. 10 წლის ასაკის გოგონებს შორის ბრძოლაში ნაჭაბოროდობის №1 საჯარო სკოლის და ბორჯომის სპორტსკოლის მოსწავლე თა ჩოსტაპილი. შეჯიბრება შეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა. პირველ ხუთ ტურში თა შეუდარებელი იყო, მან ხუთივე შეხვედრა მოიგო და მეორე ადგილზე მყოფს ერთი ქულით უსწრებდა. ხუთი დამარცხებულიდან ორი სომხეთის წარმომადგენელი იყო, სამი ქართველიდან კი ერთ-ერთი - საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ბარბარე ქიოკაძე. შედეგად და მეხუთე ტური თვასთვის უღებლო აღმოჩნდა. ორივე-ჯერ სრულიად თანაბარ პოზიციაში უხეზად შევდა. ჯერ სომხეთის წარმომადგენელთან წააგო, შემდეგ - საქართველოს ჩემპიონთან, ქუთაისელ მართა დოგრაშვილთან. მერვე ტურში წაგებას ვერ გადაურჩა საქართველოს ჩემპიონიც. თეამ კი ბოლო ორივე პარტია მოიგო და ვერცხლის მედალს დაეუფლა. ფესტივალის ჩემპიონი კი თვასთან დამარცხებული თბილისელი ბარბარე ქიოკაძე გახდა, რომელმაც ყველა სხვა შეხვედრა მოიგო. თვასთვის მართლაც დასანანი უღებლობაა.



შაჰნი ჯანიაშვილი, მწვრთნელი. სპარსე: მონაფე და მწვრთნელი. სურათი გადაღებულია მიმდინარე წლის მარტში, ახალციხეში, როცა თა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონი გახდა.

გაიმატო ჩემპიონატი ფინთოლუ



საქართველოს ფინთოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის დაფინანსებით, ბორჯომში ფინთოლის ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში მონაწილეობდა 11 გუნდი და 60-მდე ახალგაზრდა, მათ შორის ბორჯომის მერისთან არსებული ახალგაზრდულ საბჭოს წევრები. ბორჯომის ფინთოლის ჩემპიონატში გამარჯვება გუნდმა გურამიშვილმა მოიპოვა. გამარჯვებული გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ბორჯომში ფინთოლის ჩემპიონატი მუნიციპალიტეტის მერის კულტურის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურისტების განყოფილების და საკრებულოს ფრატქია ქართველი-ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილის მამუკა ხითარაშვილის ორგანიზებით გაიმართა. ფინთოლში ჩემპიონატის ჩატარების მიზანია ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში.

ნანი ბაქანაის მოსაზრება

ნანი, ჩემო ძვირფასო, სულით ძლიერო, ჩემო უღალატო და უერთგულესო მეგობარო და მეუღლე, 23 წელი გავიდა, რაც მარადიულობაში დაიდო ბინა შენმა სუტაქამა სულმა. 23 წელია, რაც ოჯახის ჭაბანს მარტოღმართო უშენოდ ვეწევი. დავიღვინე ნანი, მაგრამ შენი დიდი სიყვარული მაძლიებინებს, შენ ჩემს გულში გაქვს საცანი, ჩემს გულში დაიდო ბინა. ვუძღვები ოჯახს, შეიღვინე და შეიღვიღვინე, ამას შენდამი დიდი სიყვარული მავალდებულებს. ნანი ძვირფასო, ჩემი სამივე შვილი დაოჯახდა, 6 შვილიშვილის პაპობით ვამაყობდი და ახლა მეშვიდე შვილიშვილიც გავსა შეგვეძინა, რომელსაც შენი სახელი ნანუკა დაარქვეს მშობლებმა, შენს სახელზე პატარა ანგელოზი გვეზრდება. ყველა თავს დააფოფინებს პატარა ნანის, უფალმა ჯანმრთელი და საამაყო გაგვიზარდოს. ამინ! 8 აგვისტოს, 63 წელი შეგისრულდებოდა, შენს დაბადების დღეზე შეიკრიბნენ ჩემი შვილები, შვილიშვილები, ყვავილებისა და წმინდა საკმეველის სურნელით აივსო ირგვლივ ყველაფერი. მრავალი თაფლის სანთელი აანთეს იმ დღეს შენს სახელზე, უფალს შეავედრეს შენი სუტაქაი სული, შვილები-სთვის საფიცარო დედაც, ჩემთვის კი ერთადერთო და განუმეორებელი სიყვარული. ნანი ძვირფასო, ერთსაც გეტყვით: ჩვენ წლები კი არ გვაშორებს, გვაახლოებს ერთმანეთს. ჩემი ზარი ჩამოპკრავს და შენს გვერდით დავიდებ ბინას, მანამდე კი, ვლოცულობ შენი ნათელი სულისთვის, ჩემი ოჯახის დედაბოძო. მშვიდად განისვენოს შენმა ლამაზმა სულმა ამინ! მეუღლე ბაქან ბაქანაძე

